ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N6

სხდომის ჩატარების დრო:
23 მარტი, 2026 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი იობაშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გიორგი ჭიღვარია, მარეხი ნიჟარაძე, ალეკო თამაზაშვილი, მამუკა სინაურიძე, იოსებ კუჭავა, ამირან კოპალეიშვილი, ლაშა გვენეტაძე, კობა ფხაკაძე, მაგდა კოსტავა, თეკლა მებურიშვილი.

სულ: 11 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **შალვა მშვილდაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **ვალერიან სილაგაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **გიორგი დოლბაია,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელი **გიორგი გოგალაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **მირზა ხიდაშელი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა

და განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი **ჯონი არაბიძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანი **გენადი კუჭუხიძე,** საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის მოწონების შესახებ

3.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ

4.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

5.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ

6.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

7.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

8.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

9.ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის №8, სარაჯიშვილის ქუჩაზე (ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

10.საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლისათვის" გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ

11.საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის" სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის" სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა. ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის- **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **მირზა ხიდაშელმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.ხიდაშელმა** აქვე განმარტა: „მოგახსენებთ, ცვლილება ეხება ორ საკითხს- პირველი ეს არის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სახურავების კაპიტალური რეაბილიტაცია, სადაც ჩვენ ფინანსური კონტრიბუციის ნაცვლად შეგვაქვს ცვლილება, რომ მოიტანონ საპროექტო დოკუმენტაცია, სადაც ექსპერტიზის ხარჯებსაც ჩვენ გავიღებთ, ამ შემთხვევაში გავატარებთ სახელმწიფო ექსპერტიზას, რაც ეფექტის თვალსაზრისით მოგვცემს იმას, რომ მოქალაქე თვითონ იქნება ჩართული და დააფიქსირებს აზრს თუ რა უნდა და შემდეგ ჩვენს მიერ დაპროექტებულზე აღარ ექნება პრეტენზია, გარდა ამისა, იმის რისკი, რომ

პროექტი იყოს არაკვალიფიციური, გადაზღვეული იქნება იმით, რომ ჩვენ თვითონ დავაფინანსებთ სამხარეულის ბიუროდან ექსპერტიზას, ეს დამერწმუნეთ ორმხრივად მომგებიანი იქნება, როგორც ჩვენთვის, ასევე მოქალაქეებისათვის."

ბატონი **ჯ.არაბიძე**: „სულ იყო პრეტენზიები ჩვენს დამზადებულ პროექტებზე, ამ ყველაფერმა მიგვიყვანა აქამდე, რომ უმჯობესია თავად მოქალაქეებმა წარმოადგინონ პროექტი, ჩართულობაც მეტია, ამავდროულად ექსპერტიზის ნაწილს ვუგვარებთ ჩვენ, ვფიქრობ, ეს უფრო მოიტანს დადებით შედეგს."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „როგორც გავიგე, საუბარია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მქონე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავებზე, რაც შეეხება ღატაკი ოჯახებისათვის სახლების გადახურვის პროგრამას, კიდევ ხომ გვაქვს?"

ბატონი **ჯ.არაბიძე**: „კი რა თქმა უნდა, ეს არაფერ კავშირშია წარმოდგენილ საკითხთან, ამ უკანასკნელს ჩვენ ვახორციელებთ, სრული დაფინანსებით."

კომისიის წევრი, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „თემიდან გადავუხვევ და საბინაოს პროგრამებთან დაკავშირებით ვიკითხავ, თუ არის შესაძლებელი ჩამონათვალს დავამატოთ თავისუფალ სივრცეებში ძელ-სკამების განთავსების პროგრამა? ახლა რაც არის, ის უშუალოდ ეხება ამხანაგობების მქონე მრავალბინიან საცხოვრებლებთან ძელ-სკამების განთავსებას და თუ არის შესაძლებელი ესეც დავამატოთ."

ბატონი **მ.ხიდაშელი**: „ჩვენ გვაქვს პროგრამა, სადაც ვყიდულობთ მხოლოდ ფურნიტურას, შესაბამისად შეგვიძლია ამ პროგრამის ფარგლებში შევიძინოთ და დავდგათ ეს ძელ-სკამებიც იქ, სადაც სიტუაცია მოითხოვს, რა თქმა უნდა სადამდეც ფინანსები გაგვიშვებს."

კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **გ.იობაშვილი**: „მინდა დავუბრუნდე პროექტირების თემას, აქამდე მოსახლეობა პროექტებს არ აკეთებდა?"

ბატონი **ჯ.არაბიძე:** „კაპიტალურ რემონტთან მიმართებაში არა, მხოლოდ და მხოლოდ ერთი პროგრამა იყო კაპიტალური შეკეთების, თითქოს დავიტოვეთ ჩვენ ეს ვალდებულება, რომ გაგვეკეთებინა, მაგრამ როგორც შემდეგში პრაქტიკამ გვიჩვენა გარკვეული ცდომილება იყო ჩვენი მხრიდანაც, რომ არასწორად მივუდექით, ამიტომ შემოგვაქვს ეს ცვლილება, მოსახლეობას დაეკისრება უფრო მეტი პასუხისმგებლობაც და ჩვენს მიმართაც ნაკლები პრეტენზიები გამოითქმება, თუმცა აქვე განვმარტავ, რომ ჩვენ არც პრეტენზიებს გავურბივართ, ჩვენის მხრივ ამიტომაც ვიტოვებთ გაექსპერტების ვალდებულებას."

ბატონი **მ.ხიდაშელი:** „რაც შეეხება მეორე ცვლილებას, ეს ეხება ლიფტების ნაწილს, ჩვენ ამჟამად უმეტესწილად ლიფტის შახტაში სრულად ვცვლით ყველაფერს, მხოლოდ შახტა რჩება ძველი, ამან გამოიწვია მომართვიანობის ზრდა, რადგან უამრავი ხარჯია გაწეული წლების განმავლობაში ლიფტების რემონტთან დაკავშირებით, რომ არ გამოვიდეს ისე, რომ სადღაც გავარემონტეთ და დღეს მოვიდეს მოქალაქე და გვითხრას „თქვენ ახალ ლიფტებს აკეთებთ და მოდი ჩემიც ჩასვით", ამიტომ 2013-დან 2025-მდე რეაბილიტირებულ ლიფტებს არ ვეხებით (ვზღუდავთ), საერთოდ სადაც არ ვართ ნამყოფი იმ ჩამონათვალის დასრულების შემდგომ რა თქმა უნდა ამ ლიფტებზეც გადავალთ და შეზღუდვას მოვხსნით."

კომისიის წევრი ბატონი **მ.სინაურიძე**: „როგორც მივხვდით წარმოდგენილი პროგრამით სრულად ვცვლით ლიფტებს, თუმცა ძალიან ბევრ ლოკაციაზე გვაქვს ლიფტები, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია, არ გვაქვს იმის შესაძლებლობა ამ ლოკაციებზე, სადაც მოსახლეობის სიცოცხლე საფრთხეშია აღმოვფხვრათ პრობლემა ნაწილობრივ მაინც? ან ლიფტებს, რომელთაც ახალი ლიფტით ვანაცვლებთ, ასეთ სიტუაციებში რომ გამოვიყენოთ დაზიანებულების შეკეთებისთვის? სად მიგვაქვს ის ძველი გამოცვლილები?"

ბატონი **ჯ.არაბიძე: „**ძველი ლიფტი რჩება მოსახლეობას, წარმოადგენს ამხანაგობის საკუთრებას, იქიდან გამომდინარე, რომ ყველა კომპონენტი, რისგანაც კორპუსი შედგება, ახალი კანონმდებლობის საფუძველზე არის ამხანაგობის საკუთრება, ამიტომ მასში განთავსებული აღჭურვილობა არის მათივე და როცა დემონტაჟს ვუკეთებთ, მათთანვე რჩება და განკარგავენ სურვილისამებრ, თუმცა ვაძლევთ ერთ რეკომენდაციას, რომ ეს ლიფტები არ აქციონ ჯართად, არის კორპუსები, სადაც ვარგისი ნაწილები გამოდგება და ვურჩევთ, რომ მიყიდონ მათ და აქვე ვთავაზობთ, რომ კომუნიკაციის არარსებობის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ."

კომისიის წევრი, ბატონი **ლ.გვენეტაძე**: „ჩემს მაგალითს გეტყვით ლიფტებთან დაკავშირებით, როდესაც ჩვენთან შარშან შეცვალეს, მოვიდა კომპანია და გვითხრა, ჩვენ ხელშეკრულებით მხოლოდ შეცვლის ვალდებულება გვაქვსო, არც კუთხეების ამოლესვა , არც ნაგვის გატანა და ა.შ. არ გვევალებაო, მაგრამ ამ ძველ ლიფტს თუ გადმოგვცემთ, მაშინ ამ ყველაფერს გავაკეთებთ, დავასუფთავებთ ბოლომდე და ისე ჩაგაბარებთო, როგორც აღმოჩნდა ამ ძველი ლიფტის ღირებულება 2000-დან 3000-მდე მერყეობდა და არც ამ კომპანიის განაწყენება გვინდოდა, ამიტომ გავატანეთ ეს ლიფტი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ასეთ კომპანიებს საკმაოდ ექნებათ ის ნაწილები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება სავალალო მდგომარეობაში არსებული ლიფტების შეკეთებისათვის, შესაძლებელია რომ გავიდეთ კონტაქტზე და კომუნიკაციის შედეგად გადმოგვცენ ნაწილები და დაგვეხმარონ."

ბატონი **ჯ.არაბიძე:** „ვითვალისწინებთ აღნიშნულ სიტუაციებს და ვთხოვთ მოსახლეობას ჰქონდეთ ჩვენთან შესაბამისი კომუნიკაცია და არ აქციონ ჯართად გამოცვლილი ლიფტი, მეტნაკლებად ითვალისწინებენ."

კომისიის წევრი, ბატონი **მ.სინაურიძე**: „ნიკეაზე მაქვს ერთი ბინა, რომლის ლიფტის შეკეთებისათვის მხოლოდ ერთი ნაწილის შეცვლაში მოითხოვეს 1500 ლარი, ამიტომ ვერ ჩაერთო მოსახლეობა ამის რეაბილიტაციაში და ჩვენ თუ გვაქვს რაიმე ბერკეტი, რომ ამ და მსგავს ბინებს მოვუგვაროთ აღნიშნული პრობლემა, ეს ძალიან მისასალმებელი იქნება."

ბატონი, **მ.ხიდაშელი**: „მანდ არის ორი პრაქტიკა, სისტემის სახე რომ მივცეთ და ურთიერთობაზე არ ვიყოთ დამოკიდებული, ერთი ვარიანტია რაც გააკეთა ბათუმმა, შექმნა პორტალი და ყველა ამხანაგობა ამ პორტალზეა შეყვანილი, მათ შორის ლიფტებიც და სხვა დანარჩენიც, თითოეული მოსახლე იხდის ფულს ყოველთვიურად, შემდგომში საჭიროების დადგომის დროს სპეციალისტი მოდის და ამ ლიფტს შეაკეთებს. მეორე ვარიანტს რაც შეეხება- არის კერძო კომპანია „სითი ქომი" და სხვები, რომელთაც ამხანაგობა ინდივიდუალურად აკონტრაქტებს და ეს კომპანიები აწესრიგებენ იმას, რომ ლიფტი იყოს მუდმივად გამართული და მოწესრიგებული. თუკი იქნება მონდომება, ეს ყველაფერი დაორგანიზებადია,

შესაძლებელია ამ პორტალის ანალოგის შექმნა ჩვენთანაც და არ ვიქნებით ურთიერთობებზე დამოკიდებული.“

საკითხის თაობაზე დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №86 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის მოწონების შესახებ“**

განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „წარმოდგენილია საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტი, დაახლოებით საუბარია 700 გვერდზე, რომელსაც აქვს რეკომენდაციის ფორმა, ამ დოკუმენტში ხდება ქალაქში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება საგზაო მოძრაობის, ფეხით მოსიარულეთა, გარე განათების, შშმ პირების გადაადგილების და მთელი რიგი ჩამონათვალის კუთხით, დოკუმენტში წარმოდგენილია ხედვა, როგორ უნდა მოწესრიგდეს არსებული პრობლემები სხვა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების

პროცესში, გვთავაზობს მიმართულებას თუ როგორ შეიძლება ამ დოკუმენტით იდენტიფიცირებული პრობლემები მოაგვაროს მუნიციპალიტეტმა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ დოკუმენტს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ინფრასტრუქტურის სამსახურმა, სწორად დაგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული საკითხების მოგვარების ნაწილში და შემოსულია მოწონების მიზნით."

საკითხის შესახებ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის მოწონების შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ"**

განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „აღნიშნული საკითხი ეხება, შენობების რეაბილიტაციის დროს, მრავალბინიანი სახლების თერმოიზოლაციის, ენერგოეფექტური ფანჯრების, კარებების დამონტაჟებას, გათბობის და გაგრილების თანამედროვე სისტემების დანერგვას, ენერგიის დაზოგვას კომუნალურების გადახდის ნაწილში, დაბალემისიან ტრანსპორტს (ელექტრო ტრანსპორტი), ველოსიპედებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურას, საცობების მართვასა და ელექტროდამტენების განვითარებას, ურბანული მწვანე ზონების გაფართოებას, პარკებს, სკვერებს, აღნიშნული დოკუმენტი შექმნილია ამ

საკითხებთან დაკავშირებით და ითვალისწინებს 2050 წლამდე ამ სტრატეგიის ეფექტიანად განვითარებას.“

კომისიის წევრი, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „კერძო სახლებს თუ აქვთ ვალდებულება?“

ბატონი **ვ.სილაგაძე**: „მე როგორც ვიცი, ახალი მშენებლობა თუ 50 კვადრატულ მეტრს აღემატება, უნდა იყოს ენერგოეფექტური.“

კომისიის წევრი, ბატონი **ა.კოპალეიშვილი**: „ამ საკითხზე დათანხმებით ჩვენ წესსაც შევიმუშავებთ შემდეგ არქიტექტურულ ნაწილში?“

ბატონი **ვ.სილაგაძე**: „არა, ეს საკითხიც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და გულისხმობს, რომ ამ წესს უნდა გაჰყვეს ქალაქი განვითრების კუთხით.“

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ“ **მუხლი 2.** დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „საპრივატიზაციო ნუსხას ემატება ორი ობიექტი, ესენია- ახალგაზრდობის გამზირზე 19ა-ს აღმოსავლეთით არსებული მიწის ნაკვეთი (1070 კვადრატული მეტრის ფართობით), არის მიწისქვეშა ნაგებობით, კერძოდ, წყლის რეზერვუარით, მიწის ნაკვეთს დავამატეთ ეს განსაზღვრებაც, მეორე ობიექტი მდებარეობს

ბუკიას ქუჩა N23-ის აღმოსავლეთით, 308 კვადრატული მეტრის ფართობის, არის დაინტერესება ავერსის მხრიდან, მათ სურთ შეიძინონ ეს კონკრეტული ფართი და ამიტომ გამოგვაქვს აუქციონზე."

საკითხის შესახებ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ"**

განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „წარმოდგენილია მოცულობითი დოკუმენტი, ვინაიდან ყოველ წელს დგინდება მიწის ნორმატიული საფასური, საპრივატიზაციო გეგმაც შემოგვაქვს სრულად, რომ ეს გეგმაც ახალი საპრივატიზაციო ფასის გათვალისწინებით იყოს წარმოდგენილი. თავისთავად ზემოაღნიშნული ორი ობიექტიც ემატება გეგმას."

საკითხის შესახებ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან

დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „მოგახსენებთ, ეს ტერიტორია, რომელსაც უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადავცემთ მუნიციპალური განვითარების ფონდს, წარმოადგენს ახალგაზრდობის გამზირზე არსებულ ტერიტორიას, კერძოდ, კლუბ მართვეს საფეხბურთო მოედანი, იქ მუნიციპალური განვითარების ფონდი გვიშენებს ფეხბურთის აკადემიას, სტანდარტულ სტადიონს, გასახდელებით თუ სხვა საჭირო ინფრასტრუქტურით, ახლა არსებულ მოედანზე ეს კომპლექსი ვერ დაეტეოდა, ამიტომ მთავრობასთან და სატყეოსთან შეთანხმებით ტყის ფონდი გადმოგვეცა , მოვაწესრიგეთ, საუბარია სადღაც 7000 კვადრატზე, რომელიც უნდა გადავცეთ აღნაგობის უფლებით მუნიციპალური განვითარების ფონდს, საკუთრება ჩვენი იქნება, უბრალოდ ისინი აწარმოებენ მშენებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აშენების შემდეგ გადმოგვცემენ საკუთრებაში.“

საკითხის შესახებ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის

თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „DMO-მ მოგვმართა წინადადებით, გადავცეთ მათი შენობის გვერდზე ჩვენს საკუთრებაში არსებული საპარკინგე სივრცე (338 კვ.მეტრი), პირობაში უდევს, რომ ეს ტერიტორია გამოიყენოს ღია გამოფენებისათვის, თავისთავად მუნიციპალიტეტს შეუძლია საჭიროების შემთხვევაშიც ისარგებლოს საკუთარი ინტერესების შესაბამისად."

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **შალვა მშვილდაძე:** „აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომდინარეობს ძირეული მოკვლევა და ჩვენი რეკომენდაცია იქნება, საკითხის დაზუსტების მიზნით მისი განხილვა გადავდოთ საკრებულოს უახლოესი სხდომისათვის."

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან

დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" გადაიდოს სამომავლო განხილვისათვის მისი ძირეულად შესწავლის მიზნით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მერვე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" გადაიდოს სამომავლო განხილვისათვის მისი ძირეულად შესწავლის მიზნით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეცხრე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის №8, სარაჯიშვილის ქუჩაზე (ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **გიორგი გოგალაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **გ.გოგალაძემ** აქვე განმარტა: „საპროექტო ტერიტორია შედგება ერთი საკადასტრო ერთეულისგან, ფართობი არის 16343 კვადრატული მეტრი, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩა N8-ში, ეს არის ყოფილი ჰოსპიტალის ტერიტორია, დღეის მდგომარეობით საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება შენობა-ნაგებობები, ტერიტორიას დასავლეთის და სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო ჩრდილო-სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან-სარაჯიშვილის ქუჩა, წარმოდგენილი ინიცირების საფუძველს წარმოადგენს, აღნიშნულ ტერიტორიაზე განვითარდეს საცხოვრებელი ფუნქციის მქონე მრავალბინიანი კომპლექსი, საშუალო ინტენსივობის ზონა გვაქვს, სადაც K2 კოეფიციენტი გულისხმობს 25 მეტრამდე განაშენიანებას.“

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **გ.ჭილვარია**: „ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ვიცი გვაკლდა დოკუმენტაცია, რა ხდება ამასთან დაკავშირებით?“

ბატონი **გ.გოგალაძე**: „ჩვენ გვქონდა მიმართვა გაკეთებული, როგორც კულტურის სამინისტროსთან, ასევე სივრცითთანაც, აუცილებლობას წარმოადგენს, რომ შეთანხმდეს ინიცირების ამ ეტაპზე, რაზედაც სივრცითი წინააღმდეგი არ არის, თუმცა აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული კულტურის სამინისტროს მონაცემები, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს კვლევაზე, ეს ყველაფერი გვიწერია პირობაში და თქვენგან თანხმობის შემთხვევაში პარალელურ რეჟიმში დაწყებული იქნება ეს პროცესი, გაიგზავნება მოთხოვნა და მეორე ეტაპამდე, პროექტის წარმოდგენის დროს გავითვალისწინებთ მოთხოვნებს, რაც აუცილებლობას წარმოადგენს.“

კომისიის წევრი, ბატონი **მ.სინაურიძე**: „განმცხადებელი შემოსულია მხოლოდ განცხადებით თუ ახლავს რაიმე დამატებითი დოკუმენტაცია, გენ.გეგმის ან სხვა კუთხით?“

ბატონი **გ.გოგალაძე**: „ქალაქ ქუთაისის მერიას 2026 წლის მარტში განცხადებით მომართა წარმომადგენელმა მიხეილ ჩუბინიძემ, შპს ვილა კოლხი.“

კომისიის წევრი, ბატონი **ა.კოპალეიშვილი**: „ჩვენ ვიცით, რომ დაგეგმილია გენ.გეგმაში ცვლილებების შეტანა, ზონირების, სიმაღლის და ა.შ, ვთქვათ, დღეს მოგვმართა მოქალაქემ მიწის ნაკვეთის განაშენიანების გეგმის ინიცირებით, რა პასუხს ვაძლევთ დღეის მდგომარეობით?“

ბატონი **გ.გოგალაძე**: „მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობის დადგენა, პირველ ეტაპზე მჭირდება თანხმობა, ვის ტერიტორიაზე განახორციელებს და კონკრეტულად რა სჭირდება მას, მეორე ეტაპი ესაა-რომ არ ვუზღუდავ მენაშენეს ან დაინტერესებულ პირს ზონიდან გამომდინარე მოითხოვოს, თუმცა დავაზუსტებთ, რომ რადგან კონცეფციის შემუშავება მიმდინარეობს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, როდესაც ჩამოყალიბდება ზონირება, გავცემთ მოქალაქესაც დაზუსტებულ პასუხს.“

კომისიის წევრი, ბატონი **ლ.გვენეტაძე:** „ადმინისტრაციული კანონმდებლობა გვეუბნება ესეთ რაღაცას, ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება განმცხადებელს უარი უთხრას იმ მიზეზით, რომ ვამუშავებთ ადმინისტრაციულ აქტს, სანამ ახალი მიღებული არ იქნება ძველი არის მოქმედებაში, რომლის საფუძველზეც წინა წლებში მუშაობდა ვთქვათ არქიტექტურის სამსახური, დაინტერესებულმა პირმა განცხადება თუ შემოიტანა ახალი დოკუმენტის მიღებამდე, მისი განხილვა უნდა წავიდეს ძველი დოკუმენტის მიხედვით და არ გვაქვს უფლება უარის თქმისა, ამიტომ ამ ეტაპზე შემოსული დოკუმენტები არსებული კანონმდებლობის მიხედვით ჩაეშვება განხილვაში, ხოლო ცვლილების შეტანის შემდგომ იმოქმედებს ახალი კანონმდებლობა.“

კომისიის წევრი, ბატონი **ა.კოპალეიშვილი**: „როგორც მახსოვს, როდესაც გდგ-თი მოდიოდა დაინტერესებული პიროვნება, იყო ორი მიზანი, ერთი- როდესაც გაპის შემთხვევაში იყო K2 კოეფიციენტი, მოდიოდა დასაბუთებით რომ ეს კოეფიციენტი ყოფილიყო მეტი და ამას ასაბუთებდა კვლევებით და დამატებითი დოკუმენტაციებით და იყო მეორე ვარიანტი-თუ გენ გეგმის კონცეფციაში ერქვა საწარმოო ზონა, ჰქონდა მაღალი კოეფიციენტი, შემოვიდოდა მაძიებელი წინადადებით, რომ ამის ნაცვლად მე გამოვიყენებ როგორც საცხოვრებელი ზონას და თუ დაასაბუთებდა, რომ ეს იყო შესაძლებელი, ზედმეტი კოეფიციენტის თანხას იხდიდა სახელმწიფო ბიუჯეტში. ამ შემთხვევაში როდესაც მოდის გდგ-ით და 1,8 უწერია კოეფიციენტი, სანამ ფინიშზე გავა ეს მაჩვენებელი უფრო ნაკლები აქვს თუ რა არის ამ გენ გეგმის დამუშავების მიზანი?“

ბატონი **გ.გოგალაძე**: „თუ ჩვენ პირდაპირი მნიშვნელობით წავალთ, K1 არის ფართობის შესაბამისი 0,5 გაპზე, გდგ-ს დამუშავების კუთხით არის 0,7, თუმცაღა თქვენ რასაც იძახით 1,8 კოეფიციენტი 25 მეტრს ითვალისწინებს, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით თუ შეუძლია სიმაღლე განავითაროს 25 მეტრამდე, მას შეუძლია შეზღუდოს სიმაღლე პირობითად 20 მეტრამდე და გავიდეს განზე, ფაქტობრივად მოარგოს სთავის სასურველ მდგომარეობას, ამ ყველაფერთან დაკავშირებით წარმოსადგენი აქვს პროექტი, რომელიც შესათანხმებელი იქნება კვლევით ნაწილში სივრცითთან.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა.

ღია კენჭისყრით, (თანახმა-10 წევრი, თავი შეიკავა **თეკლა მებურიშვილმა) დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის №8, სარაჯიშვილის ქუჩაზე (ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეათე საკითხის- **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლისათვის“ გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“**

განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანმა, ბატონმა **გენადი კუჭუხიძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხის შესახებ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №6 საჯარო სკოლისათვის“ გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეათე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხის- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო

სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“

განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანმა, ბატონმა **გენადი კუჭუხიძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხის შესახებ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
გიორგი იობაშვილი